სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
54528408811215

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N150732610**

რეგისტრაციის თარიღი

09.07.2015 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ძლიერიშვილი
მისამართი: ქალაქი თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა 6
ტელეფონი: 2380435

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თხუთმეტი წლის ცხრა ივლისს მე, ნოტარიუსს ქეთევან ძლიერიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №6, მომმართა: ვალერი ხომერიკმა. მან განაცხადა, რომ არის შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი"-ს დირექტორი (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი"-ს შესახებ მომზადებული 02/04/2015 11:23:59 საიდენტიფიკაციო კოდი №205073212) და გამოხატა ნება შეადგინოს მინდობილობა და დაამოწმოს იგი სანოტარო წესით. მე შევამოწმე ვალერი ხომერიკის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ვალერი ხომერიკმა (დაბ. 01.10.1948წ სამტრედიაში, პ/მ 13IC14901, პირადი № 01003010349 გაც. 08.10.2013წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ მისამართი: თბილისი მუხიანი IVბ მ/რ კორ. 26 ბ. 34) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომლის ტექსტიც მოიწონა ვალერი ხომერიკმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას თხუთმეტი წლის ცხრა ივლისს მე, შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი"-ს დირექტორი ვალერი ხომერიკი, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ ზაზა გაბელაიას (დაბ. 18.09.1972წ აბაშაში, №ა 1431201, პირადი № 61001015572 გაც. 23.05.2011წ. სრს ვაკის სამს. მიერ მისამართი: მისამართის გარეშე)

- იყოს ჩემი, როგორც შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი"-ს (ს/კ№205073212) დირექტორი დირექტორის სრულუფლებიანი და შეუზღუდავი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადმინისტრაციულ და თვითმმართველობის ორგამოებთან ურთიერთობაში, რათა ჩემი, როგორც შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი"-ს (ს/კ№205073212) დირექტორის სახელით აწარმოოს საქმეები და შეასრულოს ყველა უფლება მოვალეობები, რაც წესდებით მინიჭებული აქვს საზოგადოების დირექტორს, გამოითხოვოს, წარადგინოს და მიიღოს ინფორმაცია, დოკუმენტაცია და საჭირო ცნობები, აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს გადაწყვეტილებები, დადოს კანონით ნებადართული ყველა გარიგება, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ხელშკრულების პირობები, ისარგებლოს ხელმოწერის უფლებით, აწარმოოს ანგარიშსწორება დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით, გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი და მოსაკრებელი ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთაღნიშნულთან.
- გახსნას, მართოს და განკარგოს შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი"-ს (ს/კ№205073212) საბანკო ანგარიშები საქართველოს ნებისმიერ ბანკში და აწარმოოს ყველა საბანკო ოპერაციები (შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა, კონვერტაცია, პლასტიკური ბარათის შეკვეთა, აღება, ახალი ანგარიშების, ანაბრების გახსნა, დახურვა და სხვა), მიიღოს ანგარიშთან და ანგარიშზე წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია (ამონაწერი ანგარიშიდან, ინფორმაცია ანგარიშზე, ფულადი სახსრების მოძრაობის, ნაშთების შესახებ, ნებისმიერ სახის ცნობები და სხვა), ხელი მოაწეროს ნებისმიერ საბაანკო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება ამ დავალების შესასრულებლად;
- იყოს შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი"-ს (ს/კ№205073212) წარმომადგენელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო დეპარტამენტში, რათა გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი და მოსაკრებელი, ასევე მიიღოს ინფორმაცია, დოკუმენტაცია და საჭირო ცნობები, მოახდინოს სალარო-აპარატის გადამისამართება.
- დავის წარმოშობის შემთხვევაში, დაიცვას შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი"-ს (ს/კ№205073212) ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესებს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს და მესამე პირს, საქმე დაამთავროს მორიგებით, მიიღოს სააღსრულებლო ფურცელი;

არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ზაზა გაბელაიას უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში ზაზა გაბელაიას უფლებები ამომწურევად არა არის ჩამოთვლილი. ზაზა გაბელაია უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება. რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი"-ს (ს/კ№205073212) უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.
ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში.
მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით და ძალაშია 2017წლის 09 ივლისამდე.
გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ათი (10) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ ერთი (1) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილებისა 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია ცამეტი (13) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი.

შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი"-ს დირექტორი ვალერი ხომერიკი

ვალერი ხომერიკი

ნოტარიუსი: ქეთევან ძლიერიშვილი